ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190354223**
თარიღი: **04/02/2019**
პინი: **8693**

ადრესატი: შპს დომუს - ვაკის პარკი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405127937
მისამართი: კავსაძის ქ 3

გადააამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01183252181-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ქუჩა ფალიშვილი N87-ში (საკ. კოდი N01.14.11.022.004) 2017 წლის 31 მაისის N3284371 (AR1422807) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

გეგმების მიხედვით: -6,60 და -3,30 ნიშნულებზე ნაწილობრივ შეცვლილია შენობის და პილონის გაბარიტები, ასევე დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. ხოლო „7-6“ მონაკვეთში ლიფტის შახტაში დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. „8-7“ მონაკვეთში „დ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია დიაფრაგმა. „ა-ბ“ და „1-4“ მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური ფილის ნიშნული.

0,00 ნიშნულზე „დ-გ“ მონაკვეთში „4“ ღერძზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. „9-7“ მონაკვეთში „ე“ ღერძზე გაზრდილია კედლის სიგრძე. „დ-ე“ და „9-7“ მონაკვეთებს შორის შემცირებულია კედლებს შორის მანძილი.

„დ-ე“ „7-9“ მონაკვეთებს შორის დაახლოებით 2,00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სართულშუა მონოლითური ფილა. „ე-დ“ და „6-7“ ნაწილობრივ შეცვლილია ბაქნის გაბარიტები.

4,50 ნიშნულზე „9-8“ მონაკვეთში „ე“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ღიობი. „ა-ბ“ და „8-9“ მონაკვეთებს შორის შეცვლილია მონოლითური ფილის ღიობის გაბარიტები.

ობიექტზე ნაწილობრივ შეცვლილია პილონის და კოლონის გაბარიტები, რაოდენობა და მდებარეობა.

ობიექტზე შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია MSDA-073 *405026877*